გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

20 თებერვალი 2025

N 2-69

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „გიანთი ლოჯისტიკსზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, შესახებ

2025 წლის 19 თებერვალს სამინისტროს მომართა შპს „გიანთი ლოჯისტიკსმა“ და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობებით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 7 072 კგ;
- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 21 800 კგ;
- R407C (HFC-32/HFC-125/HFC-134a) – 3 164 კგ;
- R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 4 520კგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „გიანთი ლოჯისტიკსზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204574503) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

    - 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 7 072 კგ;
    - R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 21 800 კგ;
    - R407C (HFC-32/HFC-125/HFC-134a) – 3 164 კგ;

- R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 4 520კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან ერთი წლის ვადით;
3. შპს „გიანთი ლოჯისტიკსმა“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გიანთი ლოჯისტიკსს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გიანთი ლოჯისტიკსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სოლომონ პავლიაშვილი

მინისტრის მოადგილე